წელიწადი პირველი

თბილისი, ხუთშაბათი 13 ივლისი, 1906 წ.

ცალკე ნომერი 3 კ.

# ახალი ცხოვრება

№ 19. ყოველ დღიური გაზეთი № 19.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე".

გაზეთი ეღირება:

თფილისში: წლიურათ—5 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ, თვიურათ 50 კ.
ქალაქს გარეთ: წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

ვინც ამ ზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემინარიის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба".

მანიფესტის გამოცხადების მეორე დღეს ოდესაში ებრაელების ჟლეტა დაიწყეს.—სტოლიპინი რევოლუციას გათავებულად აცხადებს.—რევოლუცია კი სწრაფად იზრდება.—ჯარში, ფლოტში, ყაზახებს შორის მღელვარება მატულობს.—გლეხები პროლეტარიატს ბაძავენ ბრძოლაში.—სათათბიროს მემარცხენე წევრებმა ხალხისადმი მოწოდება გამოსცეს, სალდათები და გადასახადები აღარ მისცეთ მთავრობასო.

## დ. ხაშურსა და სურამში.

10 ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე წლიურათ, ნახევარი წლით და თვიურათ. გაიყიდება ცალკე ნომრიც.

პორფილე მელაძე.

ქართველ უსაქმოთ დარჩენილთა ამხანაგობის სასარგებლოთ დაიდგმება 2 წარმოდგენა. პირველი წარმოდგენა გაიმართება კვირას 16 ივლისს 1906 წ.

ფუნიკულერზე

წარმოდგენილ იქნება სცენის მოყვარეების და ზალმაშვილის მონაწილეობით

სიმდიდრის მსხვერპლი

დრ. 3 მოქმ. ბაქრაძისა.

II

ვერცხლის თეატრში.

კვირას 20 ივლისს 1906 წ. წარმოდგენილ იქნება

ქართველი დედა

დრ. 4 მოქმ. ქართლის ცხოვრებიდან.

ფუნიკულერის თეატრის ბილეთები გაიყიდება ადგილობრივ კასაში და ფუნიკულერის სტანციაში.

ამხ. მონდობილობით გ. მგე მ. ანანიაშვილი.

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ყველა სახლის პატრონებს და კვარტირანტებს, რომ 1906 წ. 8 ივლისს დილიდან დაიწყება ქალაქის მცხოვრებთა აღწერა საოჯახო სიის შესადგენათ და სახლების და ეზოების სანიტარული მდგომარეობის გამოსაკვლევათ. ამ საქმის სასურველათ დაგვირგვინება დამოკიდებულია იმ დახმარებისგან, რომელსაც გაუწევენ სახლის პატრონებ და კვარტირანტები ქალაქის გამგეობის რწმუნებულთ. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს ამ დახმარების და სთხოვს მცხოვრებთ შეუფერხებლათ მოაწოდონ მის რწმუნებულებს ყველა ცნობები, რომელიც საჭირო იქნება ცალკე დაბეჭდილი ფურცლების მიხედვით. (3—2)

### სადღეისო კითხვები

**ყორანო, შავო ტიალო! როდის გაძღები ლეშითა?!**

„მტრის ბანაკში სიცილ-ხარხარი ისმის. ქეზი მოიბა ზებერმა თვითმპყრობელობამ. როგორც ლოთობისაგან გამოფიტული, ქანც-გამოლეული ადამიანი სიხარულით იზლაზნება და წოდინობს არაყის მოლოდინში, ისე თვითმპყრობელობაც: მან იგრძნო სისხლის სუნი და მიდუნებულ ძარღვებში დამპალი სისხლი აუთამაშდა. ჰაერში ლეშის სუნი დატრიალდა და აიშალენ თვითმპყრობელობის შავი ყორნები. აიშალენ და თავს დასტრიალებენ რუსეთის ულეველ სივრცეს.

დეპეშამ გვაცნობა, რომ ოდესაში ყორნებმა იშოვეს კიდეც საკვები. 10 ივლისს ებრაელთა დარბევა დაიწყო. „მოვიწოდებთ კეთილ-მოაზრეთა რუსთა კანონიერ მმართველობის მხარის დასაჭერათ და მშვიდობის აღსადგენათ"—გაისმა პეტერბურგში და გამოლაგდენ კეთილ-მოაზრენი კანონიერ მმართველობის მხარის დასაჭერათ. მათ იციან, რომ ისე ვერაფრით ვერ დაუჭერენ მხარს „კანონიერ მმართველობას", როგორც „კრამოლნიკ ებრაელთა" ხოცვა ჟლეტით. და აი შეუდგენ კიდეც სიხარულით და სიყვარულით თავიანთ მოვალეობის სინდისიერათ შესრულებას. კვლავ დაიხოცება უმწეო ადამიანთა უანგარიშო რიცხვი, კვლავ მოირწყება სისხლით ქალაქის ქუჩები, კვლავ გადმოისვრიან ყირამალა მესამე სართულიდან ორსულ ქალებს, კვლავ ჩააჭედენ თვალებში ლურსმნებს უსუსურ ბალღებს, კვლავ გააუპატიურებენ ქალებს... და შემდეგ უტიფრათ, უსირცხვილოთ გამოაცხადებენ: „მთავრობამ და ჯარებმა ვერ დააკავეს ეროვნული სიძულვილით აღგზნებული მცხოვრებნიო".

„ყორანო შავო, ტიალო! როდის გაძღები ლეშითა"?!

**„ძველი წესწყობილება კვლავ აღორძინდა"**

ეს სიტყვები ახალი პრემიერის, სტოლიპინის კალმის ნაწარმოებია. მინისტრპრემიერისთვის ეჭვს გარეშეა, რომ „კვლავ აღორძინდა ძველი წესწყობილება." ნეტარ არიან მორწმუნენი! გარეკეს სათათბირო, გაახშირეს გაძლიერებული, სამხედრო და განსაკუთრებული დაცვის წესები, გასცეს სასტიკი ბრძანება, მოისპოს რევოლუციაო და ასე გონიათ რომ ყოველივე აღსრულდა. ნამეტანსაც ნუ მიირთმევთ ბ. სტოლიპინო! რევოლუციის ქარტეხილი გალილეის ტვინის ქარიშხალი არ არის და არც თქვენ ბრძანებებით სასწაული—მოქმედი იესო ქრისტე, რომ თქვენი ბრძანებით „ჩადექ ქარიო" მორჩილად მოიხაროს ქედი ყულფზე შემდგარმა რუსეთის ხალხმა.

მინისტრი სტოლიპინი აცხადებს გუბერნატორების და ჩვენი ნამესტნიკის საყურადღებოთ: „აშკარა უწესოებათა წინააღმდეგ ძლიერი საშუალებანი მოიხმარეთ. რევოლუციონური განზრახვანი ყველა კანონიერ (იგულისხმე: ყოველგვარ კანონს გარეშე) ზომებით უნდა აღმოიფხრან. ბრძოლა სწარმოებს არა საზოგადოების წინააღმდეგ (იგულისხმე: არა კამარილას და საზოგადოთ ხულიგანების წინააღმდეგ), არამედ წინააღმდეგ საზოგადოების მტრებისა (იგულისხმე: წინააღმდეგ მთელი რუსეთის ხალხისა)... ძველი წესწყობილება კვლავ აღორძინდა".

ასე ჰიკჰიკობს თვითმპყრობელობის ახალი ბულბული. ის თითქოს მართლაც დარწმუნებულია, რომ აღსდგა ძველი წესები. მაგრამ ამავე დროს რუსეთის გაღელილ მკერდზე სწრაფათ და შეუჩერებლათ იზრდება რევოლუცია.

**რევოლუცია იზრდება.**

„მტრის ბანაკში სიცილ-ხარხარი ისმის". რევოლუცია ყურს უგდებს ამ სიცილ-ხარხარს, და ცეცხლის ფრქვევით, გაფიცვებით, დემონსტრაციებით და ჯერ თავშეკავებით გუგუნით უპასუხებს მას.

რუსეთის გლეხობა იზრდება. პროლეტარული ბრძოლის საშუალებანი ფეხს იკიდებს სუვორინის „კამრინსკი მუჟიკების" ბანაკში და მემამულეთა სასახლეების და ეკონომიების კოკონის ალით განათებულ სოფლებში შემდეგი სურათი იხატება: აგერ, „კამარინსკი მუჟიკები" გაფიცულან. აღარ სურთ მებატონეების დუდუკზე თამაშიდა ქალაქის მუშებსავით თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვენ. ეგერ იგივე კამარინსკი მუჟიკები" პოლიციელებს და დარაჯებს ლაზათიანათ კისერში აძლევენ და ს. დ. აგიტატორებს ათავისუფლებენ (იხ. „რუსეთი" გუშინდელ ნომერში); აქ გვარდიელები თავიანთ „უპატივცემულო" დასჯილ ამხანაგების გათავისუფლებას მოითხოვენ, წინ თუ არ გაგითავისუფლებიათ ჩვენ თითონ მოვახერხებთო.

სევასტოპოლის და ბალტიის ფლოტის კავშირიან გემებიდან მარსელიოზის გუგუნი მოისმის. უხეში ყაზახები ხალხისკენ მიიწევენ, მთავრობას ემუქრებიან და ქუჩაზე რევოლუციონურ სიმღერებს გაჰკივიან... პროლეტარიატი კი იცდის, ის ელოდება თავის ძლიერი მოკავშირის გლეხობის დარაზმვას და თითონაც საჭიროთ თვალს ადევნებს და აძლიერებს თავის რაზმებს. ის ყურ დაცქვეტილი უთვალთვალებს ჯარის მღელვარებას და როდესაც დაჰკრავს საათი, როდესაც გლეხობა მხნეთ და გადაჭრილათ ამოდგება გვერდით და ჯარიც აღუთქვამს დახმარებას,... მაშინ დაიძრება რევოლუციის მძაფრი ლაშქარი. მაშინ გაშლის წითელ დროშას პროლეტარიატი და წაუძღვება ბრძოლის ველზე ძლევამოსილ რაზმებს... ეს საათი შორს აღარ არის, მალე გაისმება მისი წკრიალი რეკა...

მაშინაც აღორძინდა ძველი წესწყობილება, თვითმპყრობელობის შავო ყორანო?

### საკამათო.

**მარქსი და ენგელსი ავკაცებზე.**

ნ. ხ—მ იცის, რომ ცდა ბედის მონახევარეა და... ცდილობს—ერთხელ კიდევ [illegible] („სიმართ." № 7).

აქ, რასაკვირველია, უნდა, საკვირველი არაფერია. გერმანიის ოპორტიუნისტები, ბერნშტეინი და ფოლმარი, დიდი ხანია კაუცკისა და ბებელს ბლანკისტებს უძახიან. საფრანგეთის ოპორტუნისტები, ჟორესი და მილიერანი, კაი ხანია გედსა და ლაფარგს ბლანკისტობას და იაკობინცობას აბრალებენ. მიუხედავათ ამისა, ქვეყანამ იცის, რომ ბერნშტეინი, მილიერანი, ჟორესი და სხვები ოპორტუნისტები არიან, მარქსიზმს ღალატობენ; მაშინ როდესაც კაუცკი, ბებელი, გედი, ლაფარგი და სხვები რევოლუციონური მარქსისტები არიან. რაღა საკვირველია, თუ რუსეთის ოპორტუნისტები და მათი მიმდევარი ნ. ხ. ევროპის ოპორტუნისტებს ბაძავენ და ბლანკისტებს გვიწოდებენ? ეს მხოლოთ იმასა ნიშნავს, რომ ბოლშევიკები კაუცკისა და გედისავით რევოლუციონური მარქსისტები ყოფილან. ჩვენ ამით შეგვეძლო გაგვეთავებინა ნ. ხ—სთან ლაპარაკი. მაგრამ ნ. ხ. კითხვას „აღრმავებს" და ცდილობს თავისი დაამტკიცოს. ამ ნუ ვაწყენინებთ და ყური დავუგდოთ.

ნ. ხ. არ ეთანხმება ბოლშევიკების ასეთ აზრს: „ვთქვათ ქალაქის ხალხი [illegible] მთავრობისაგან **) სიძულვილით გამსჭვალული, ის ყოველთვის შეიძლება ფეხზე დადგეს, თუ შემთხვევა მიეცემა რომ. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ როცა [illegible] მზათ ვყოფილვართ. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. აჯანყება რომ მოვიგოთ, საჭიროა კიდევ შევადგინოთ

*) აქ ნ. ხ. სიტყვა „ერქვაო" შეუცვლია სიტყვით „როცა" რაც რამოდენიმეთ აზრსა სცვლის.

**) აქ სიტყვა „მთავრობისადმი" გამოტოვებია ნ. ხ—ს (იხ. „ხ. ც." № 6).

ბრძოლის პლანი, ადრევე შევიმუშაოთ შეჯახების ტაქტიკა, საჭიროა აწყობილი რაზმი გვყავდეს“ და სხვა (იხ. „ი. ცხ.“ № 6). ნ. ხ. არ ეთანხმება ამ აზრს. რატომ? იმიტომ, რომ ეს ბლანკიზმიაო.

მაშ ასე. ნ. ხ—ს არც „შეჯახების ტაქტიკა“ უნდა, არც „აწყობილი რაზმები“, არც მოწესრიგებული გალაშქრება—ყველა ეს უმნიშვნელო რამეა, მეტი ბარგიაო! ბოლშევიკები ამბობენ, რომ მარტო „მთავრობისადმი სიძულვილი არ კმარა“, მარტო შეგნება „არ კმარა“, საჭიროა კიდევ „რაზმები და შეჯახების ტაქტიკა“. ნ. ხ. უარჰყოფს ყველა ამას და ბლანკისტობას უძახის. დავიხსომოთ ეს და დავყვეთ ქვეით.

ნ. ხ—ს არ მოსწონს ლენინის შემდეგი აზრი „ჩვენ უნდა მოვაგროვოთ მოსკოვის, დონის-როსტოვის და სხვა აჯანყებულთა გამოცდილება, გავაცნოთ იგინი ხალხს, უნდა ვამზადოთ მოთმინებით და დაუღალავათ ახალი სამხედრო ძალები, გავწვრთნათ და გამოვწრთოთ ისინი პარტიზანულ მოქმედებაში. ახალი აფეთქება შეიძლება გაზაფხულზე არ მოხდეს, მარა ის მოდის, ის შესაძლებელია ძალიან შორს არ იყოს. ჩვენ უნდა შევხვდეთ მას შეიარაღებული, მხედრულათ დარაზმული, რომ შევძლოთ გაბედული იერიშით მოქმედება“ (იხ. „პარტ. უწყება“). ნ. ხ. არც ამ აზრს ეთანხმება. რატომ? იმიტომ, რომ ეს ბლანკიზმიაო

მაშ ასე. ნ. ხ—ს აზრით გამოდის, რომ ჩვენ არ უნდა „შევაგროვოთ დეკემბრის აჯანყებულთა გამოცდილება“ და არ უნდა „გავაცნოთ იგინი ხალხს“! მართალია აფეთქება ახლოვდება, მარა ნ. ხ-ს აზრით იარაღით ხელში არ უნდა შევხვდეთ ამ აფეთქებას“, „გაბედული იერიშით მოქმედებისთვის“ არ უნდა ვემზადოთ. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ უიარაღოთ და მოუმზადებლათ უფრო ჩქარა გავიმარჯვებთ ბოლშევიკები ამბობენ, რომ აფეთქება მოსალოდნელია და ამიტომ ჩვენი ვალია ვემზადოთ, როგორც შეგნებით, ისე შეიარაღებით. იცის, რომ აფეთქება მოსალოდნელია, მაგრამ სიტყვიერი აგიტაციის იქით არა სწამს რა და ამიტომ შეიარაღებას ეჭვის თვალით უყურებს, მეტ ბარგათ მიაჩნია. ბოლშევიკები ამბობენ, რომ შეუგნებლათ დაწყებულ და დაშლილ აჯანყებაში საჭიროა შეგნება და წესრიგი შევიტანოთო. ნ. ხ-ს არც ეს ასწამს—ბლანკისტობააო. ბოლშევიკები ამბობენ, რომ თავის დროზე საჭიროა „გაბედული იერიშით მოქმედებაო“ ნ. ხ-ს არც გამბედაობა მოსწონს, არც თავდასხმითი იერიშები—ყველა ეს სულ ბლანკისტობაა! დავიხსომოთ ყველა ეს და ვიკითხოთ

როგორ უყურებდენ მარქსი და ენგელსი შეიარაღებულ აჯანყებას?

აი რასა სწერდა მარქსი ორმოციან წლებში:

„რაკი რევოლიუციის გზაზე შესდგებით, საჭიროა უდიდესი სიმამაცე იქონიოთ და **თავდასხმის** გზას დაადგეთ. თავის დაცვა პოლიტიკური სიკვდილია შეიარაღებული აჯანყებისთვის... დასჭარით მტერს, სანამ მისი ძალები გაფანტულია, დაუდგრომლათ ამზადეთ ახალი გამარჯვება, რაც უნდა მცირე იყვეს ის. შეირჩინეთ ის ზნეობრივი ძალა, რომელსაც პირველი გამარჯვება გაძლევთ, გადიყვანეთ თქვენსკენ ნეიტრალური ელემენტები, რომლებიც ყოველთვის ძლიერ შთაბეჭდილებას ემორჩილებიან... უკან დაახევინეთ მტერს, რომ ახალი ძალების შეკრება ველარ მოასწროს. ერთი სიტყვით, როგორც რევოლიუციონური პოლიტიკის უდიდესი ოსტატი, დანტონი, იტყოდა ხოლმე: **გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!** (იხ. „ისტორიჩესკიე ოჩერკი“ კ. მარქსი 95 გვ.).

ასე ლაპარაკობს უდიდესი მარქსისტი, კარლ მარქსი.

როგორც ხედავთ, მარქსის აზრით, ისაც აჯანყების გამარჯვება უნდა, ის თავდასხმის გზას უნდა დაადგეს. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ვინც თავდასხმის გზას დაადგება, მას შეიარაღებაც უნდა ჰქონდეს, სამხედრო ცოდნაც და გაწვრთნილი რაზმებიც—უამისოთ თავდასხმა შეუძლებელია, რაც შეეხება გამბედავ იერიშებს, ის ხომ მარქსის აზრით, სული და ხორცია ყოველივე აჯანყების. ნ. ხ—ს კი სიცილათ არ ჰყოფნის არც გამბედავი იერიშები, არც თავდასხმის პოლიტიკა არც აწყობილი რაზმები და არც სამხედრო ცოდნის გავრცელება, ყველა ეს ბლანკიზმიაო! გამოდის, რომ ნ. ხ. მარქსისტი ყოფილა და მარქსი კი ბლანკისტი! საწყალი მარქსი! წამოახედა საფლავიდან და გააგონა ნ. ხ—ს ტიკტიკი: როგორ გესლიანათ ჩაიცინებდა...

ენგელსი რაღას ამბობს აჯანყებაზე?

ენგელსი ერთგან, ისპანიის აჯანყებაზე ლაპარაკობს, ეკამათება ანარხისტებს და განაგრძობს:

„მიუხედავათ იმისა, რომ აჯანყება უთავბოლოთ იყო დაწყებული, ის მაინც გაიმარჯვებდა, თუ კი ოდნავი გონიერებით მაინც უხელმძღვანელებდა ვინმე ამ აჯანყებას, თუნდ ისპანიის სამხედრო ბუნტებივით. ამისთანა ბუნტების დროს ქალაქის რომელიმე გარნიზონი ჯანყდება, გადადის მეორე ქალაქში, გაიყოლიებს ახალ გარნიზონებს, რომლებიც თაობითვე მომზადებულია, და ამგვარათ, იზრდებიან რა ცეცხლის ნიაღვარივით, იერიშით მიდიან სატახტო ქალაქზე, სანამ რომელიმე ბედნიერი შეჯახება, ან დანარჩენი კლასების გადმოსვლა გამარჯვებას არ გადასჭრის. ასეთი მოქმედების წესი ძალიან ხელსაყრელი იყო ამ შემთხვევაში. აჯანყებულნი **უკვე დარაზმული იყვნენ** ცალკე რაზმებათ (ყური დაუგდე, ამხანაგო, ენგელსი რაზმებზე ლაპარაკობს!); მართალია, მათ დისციპლინა არ უვარგოდათ, მაგრამ არც ისპანიის ჯარს ჰქონდა უკეთესი დისციპლინა. ერთათ ერთი საიმედო ჯარი მთავრობისთვის ჟანდარმები იყო, რომელნიც გაფანტულნი იყვნენ. აჯანყებულთა მოვალეობა ყველაზე პირველათ იმაში შესდგებოდა, რომ ხელი შეეშალათ ჟანდარმების შეერთებისთვის, ეს კი შესაძლებელი იყო, თუ ისინი **თავდასხმის** გზას დაადგებოდნენ და **გამბედავათ** გაილაშქრებდნენ ბრძოლის ველზე (სმენა, სმენა, ამხანაგებო!)... და ვისაც გამარჯვება უნდოდა, ის სხვა გზას ვერ დაადგებოდა“...

ენგელსი უწყრება ბაკუნისტებს, რომლებმაც პრინციპათ გაიხადეს ის, რის აცილებაც შესაძლებელი იყო: „სახელდობრ“, რევოლიუციის ძალთა დაშლილობა და ცალცალკე მოქმედება, რამაც შეძლება მისცა მთავრობას ერთი და იგივე ჯარებს დაემარცხებიათ ცალცალკე აჯანყებები“ (იხ. „ბაკუნისტი“ და სხ. ენგელსი).

ასე ლაპარაკობდა შესანიშნავი მარქსისტი, ფ. ენგელსი.

მოწყობილი რაზმები, თავდასხმის პოლიტიკა, აჯანყების მოწესრიგება, კერძო აჯანყებათა შეერთება—აი ენგელსის აზრით რა ყოფილა საჭირო აჯანყების გამარჯვებისთვის.

გამოდის, რომ ნ. ხ. მარქსისტი ყოფილა და ენგელსი კი—ბლანკისტი! საწყალი ენგელსი!... შენ პატიე ისტორიავ!...

როგორც ხედავთ, ნ. ხ—ს არ სცნობია მარქს-ენგელსის შეხედულება აჯანყებაზე.

ეს კიდევ არაფერი. ჩვენ ვამბობთ, რომ ნ. ხ.სგან წამოყენებული ტაქტიკა ამცირებს და ფაქტიურათ უარყოფს შეიარაღების, წითელ რაზმების და სამხედრო ცოდნის მნიშვნელობას, ეს ტაქტიკა შეუიარაღებელი აჯანყების ტაქტიკაა, ეს ტაქტიკა „დეკემბრის დამარცხებისკენ გვერეკება. რატომ არ გვქონდა დეკემბერში იარაღი, რაზმები, სამხედრო ცოდნა და სხვა? იმიტომ რომ ნ. ხ—სათანა ამხანაგების ტაქტიკას მივდევდით... მარქსიზმი და ცხოვრება კი ორივე უარყოფს ამ უიარაღო ტაქტიკას.

აი რას გვეუბნება ფაქტები

კობა.

# ახალი ამბები

„სიმართლის“ რედაქციას დეპუტ. ნოე ჟორდანიას დეპეშით ატყობინებს: სათათბიროს წევრებმა მანიფესტი გამოსცეს და ხალხს მიმართავენ, ჯარის კაცები და გადასახადი აღარ მისცეთ მთა-

# ფელეტონი

### რა არის ჩვენთვის საჭირო?

(საუბარი მუშებთან)

შემდეგი *).

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ეხლანდელი რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიულია. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი რევოლიუციით არ ისპობა კაპიტალისტური ეკონომიური ურთიერთობა და მაშასადამე ბურჟუაზიაც. ის, პირ-იქით, უფრო იზრდება და ისევ გაბატონებულ კლასათ რჩება. თუ ეს ასეა, მეტყვის ზოგიერთი მკითხველი, თუ რომ ამ რევოლიუციის მოხდენით მუშათა კლასი ვერ იხდის ზურგიდან კაპიტალისტთა ექსპლოატაციის უღელს, თუ ის ისევ დაჩაგრულ და გაყვლეფილ კლასათ რჩება, თუ რომ ისვერ აღწევს თავისსაბოლოო მიზანს—სრულ განთავისუფლებას,—მაშ რაღათ ვეტრფით რუსეთის რევოლიუციას, რაღათ გვინდა იმის მოხდენა, რაღათ ვღვრით ტყუილათ სისხლს?!.

საქმე აი რაშია. დღევანდელი რევოლიუციის მიზანია ძველი, ფეოდალური ნაშთების მოსპობა. საწარმოო ძალთა განვითარების შესწავლა დაგვანახვებს, რომ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ჯერ არა აქვს თავისი ზრდა დამთავრებული, ის ჯერ კიდევ სავსებით არ ასულა თავის ბატონობის ტახტზე. სხვათა შორის პოლიტიკური ფორმა მას ჯერ კიდევ არა აქვს თავისი საკუთარი, ის ფეოდალურ ფორმაშია გამოხვეული. მაშასადამე, თუ ჩვენ ისტორიულ მსვლელობის შეგუებას არ მოვინდომებთ, თუ მის წინ გადალობას არ ვეცდებით, თუ ჩვენ არ გვინდა ასე უბრალოთ ძალის დახარჯვა და საჭიროთ ვცნობთ გავყვეთ ისტორიის მსვლელობას შეგნებულათ,—ეხლანდელი რევოლიუცია აუცილებელ საფეხურათ უნდა ვსცნოთ სოციალისტური რევოლიუციისკენ. მივიღებთ თუ არ მივიღებთ ამ რევოლიუციაში მონაწილეობას, სულ ერთია, ის მაინც მოხდება. მაგრამ მუშათა კლასი არამც თუ მიიღებს ამ რევოლიუციაში მონაწილეობას, არამედ მან უკვე დიდი ხანია მიიღო, მან პირველმა ამართა ბრძოლის დროშა ბატონყმურ ნაშთების წინააღმდეგ და ეს იმიტომ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა თუ ვინმეს სჩაგრავდა, იმონავებდა და ყვლეფდა—ეს ყველაზე მეტათ მუშათა კლასს. თვითმპყრობელობის ძირფესვიანათ ამოვდება დღევანდელ რევოლიუციაში—აი რაში შესდგება ჩვენი დღიური საჭიროება. მაგრამ რა უნდა ვქნათ მაშინ, როცა თვითმპყრობელობა პატრონს ჩაბარდება, დავანებოთ ბრძოლის ველს თავი და წავიდეთ სახლში? არა! მართალია ამ დანგრევით ჩვენ ვერ ვაღწევთ ჩვენს საბოლოო მიზანს, მაგრამ ის პირველ ნაბიჯს გვადგმევინებს ამ მიზნისკენ. ამიტომ სულ ერთი როდია თვითმპყრობელობის ნანგრევებზე რანაირი პოლიტიკური წესწყობილებაც უნდა აშენდეს! თუ ჩვენ ბრძოლის შემდეგ ბრძოლის ველს თავს დავანებებთ და ნადავლს ბურჟუაზიას დავუტოვებთ, ბურჟუაზია დაამყარებს ისეთ პოლიტიკურ წესწყობილებას, რომელიც დიდათ არ განსხვავდება თვითმპყრობელობისგან. თვითმპყრობელობას ჩვენ იმიტომ ვებრძვით და ვებრძოდით, რომ ის ხელს გვიშლის ჩვენი კლასიური ინტერესები შევიგნოთ და თვითმოქმედებას შევეჩვიოთ. მის დანგრევას ის მნიშვნელობა აქვს, რომ საშვალებას გვაძლევს ჩვენი პროგრამა მინიმუმი განვახორციელოთ, რაც შეძლებას მოგვცემს შესამჩნევათ განვავითაროთ ჩვენი კლასიური შეგნება და პოლიტიკური თვითმოქმედება. ყველა ეს კი თავისთავათ გაგვიადვილებს, ჩვენი საბოლოო მიზნისაკენ უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმას ე. ი. სახელმწიფო მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას. როცა სახელმწიფო მართვა გამგეობა თავისი კლასიური ინტერესების მცოდნე, ერთათ შეკავშირებულ და თვით მოქმედებაში გამოწრთვნილი პროლეტარიატის ხელში გადავა, მაშინ დაიწყება იმ საფუძვლის მოსპობა, რომელიც ყოფს საზოგადოებას კლასებათ, რომელზედაცაა დაყრდნობილი ყოველგვარი ძარცვა-ყვლეფა და დაჩაგვრა-დამონავება, მაშინ დაიწყება მუშათა კლასის აღთქმული ქვეყანა, სოციალისტური წესწყობილება.

ამნაირათ სოციალდემოკრატიული შეგნება თავში აუცილებლათ საჭიროა ჩვენთვის არა მხოლოთ იმიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მებრძოლი ხალხის შეცდომები, არამედ იმიტომ, რომ დღევანდელი რევოლიუცია რაც შეიძლება ჩვენდა სასარგებლოთ გამოვიყენოთ, და ასე გავიადვილოთ ჩვენი საბოლოო მიზნის მიხწევა, სოციალისტური წესწყობილების დამყარება.

გვცოდნიებათ ბევრი ისეთი პირები, რომლებმაც ძალიან კარგათ იციან, რომ კაპიტალისტური წესწყობილების შემდეგ უნდა დამყარდეს სოციალისტური წეს-წყობილება, იციან ყველა აუცილებელი საფეხურები ამ წეს-წყობილებისაკენ, იციან აგრეთვე ისიც, თუ ვინ უნდა იბრძოდეს მის განსახორციელებლათ. მაგრამ ისინი ამისდა მიუხედავათ განზე დგანან, ბრძოლაში მონაწილეობას არ ღებულობენ და ასე ამბობენ: სულ ერთია... ჩვენ მივიღებთ თუ არა მონაწილეობას, სოციალიზმი ბოლოს მაინც განხორციელდება ეს ასეა, რა თქმა უნდა, მაგრამ კითხვა იმაშია, თუ რა არის ასეთი კაცისათვის საჭირო, რომ ის გახდეს სხვასავით ნამდვილი მებრძოლი, რა აკლია მას?

ამაზე უნდა უპასუხოთ მოკლე ჩვენი საჭიროებით:

რევოლიუციონური ცეცხლი გულში—აი რა აკლია მათ!

ვისაც ეს თვისება აკლია, მაზე უნდა გავბედოთ და ვთქვათ, რომ ის ვერ გახდება მომავალი წეს-წყობილების პატრონი, ის ვერ აიხსნის მონობის უღელს ზურგიდან, მუშათა კლასი, მომავალი წეს-წყობილების გამგე და ბატონ-პატრონი იმიტომ ხდება, რომ დღევანდელი კაპიტალისტური წეს-წყობილება წრთვნის მას. ეს უკანასკნელი აიძულებს მას კლასიურ თვითცნობიერებასთან ერთად თვითმოქმედებაც შეიძინოს, ყოველგვარ უკუღმართ მოვლენას რევოლიუციონური პასუხი გასცეს, ებრძოლოს მას და ეცდოს მისი საბოლოოთ დამარცხება. ასეთ ხალხს თავისთავათ უმუშავდება გულში რევოლიუციონური ცეცხლი, ის რევოლიუციონურათ გაუზდია თვითონ კაპიტალიზმს. ის-კი, ვისაც რევოლიუციონური ცეცხლი არააქვს გულში უკვე დაუმონავებია კაპიტალიზმს, მას არ ამ-

*) იხ. № 17.

ერობასო. ამ მოწოდების გამოცემის შემდეგ დუმა დაშლილა.

✦ სინოდი შეკითხებია თფილისის გენერალ-გუბერნატორს, სად არიან მღვდელი ბრიხნიჩევი და მისი ცოლიო. გუბერნატორს ასეთი. პასუხი მიუცია, მღ. ბრიხნიჩევი ხალხში და ჯარში რევოლიუციონურ პროპაგანდა—აგიტაციისათვის ნამესტნიკის განკარგულებით ყარსის ციხეში გავგზავნეთ, ხოლო მისი ცოლი ჩემის განკარგულებით უფის გუბერნიაშია გადასახლებულიო.

✦ ტოლეს, ტაიროვის კომპ. ქარნის მუშებს 55 მნ. გამოგზავნეს თამბაქოს ფაბრიკის გაფიცულ მუშათა სასარგებლოთ.

✦ ხუთშაბათს 20 ივლის ძმათა ნიკიტინის ცირკში ქართველ სასცენო ამხანაგობის მიერ წარმოდ. იქნება „სიყვარულის **მსხვერპლი**" ოთხ. მოქ. თანამედროვე დრამა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. გამგე ფურცელაძე.

✦ ამ დღეების განმავლობაში „შრომის" რედაქციას კავკასიის ყოველ კუთხიდან აუარებელი დეპეშები მოსდის, რომლებშიაც აცხადებენ თავიანთ აღშფოთებას **შიო ჩიტაძის** ტრაგიკულათ მოკვლისა გამო და ზიზღსა და წყევლას უთვლიან მკვლელებს.

✦ თბილისში ამ ბოლოს დროს ძაან გახშირებულია უსახელო მუქარის წერილების გზავნა სხვა და სხვა ჯგუფის სახელით. ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ ერთი ასეთი წერილთაგანი რომელშიაც სწერენ გიგოსიჩაძეს რაც შეიძლება მალე 600 მანეთი გამოგზავნეთ, წინაალმდეგ შემთხვევაში კარგი არ მოგივაო. წერილის ბოლოს მოწერილა „ფრინველთა ჯგუფი".

✦ თბილისის პურის მცხობელთა გაფიცვა 10 ივლისს დასრულდა მუშების სრული გამარჯვებით.

✦ 5 ამ თვეს ავლაბარში სასიკვდილოთ დაუჭრიათ არშაკ მაისუროვი, რომელიც უკვე გარდაიცვალა და კვირას 9 ივლისს დაასაფლავეს. ცხედარს მხოლოდ მისი ძმა და ორი მღვდელი მისდევდა. მიზეზი როგორც გავიგეთ, თურმე ის ყოფილა, რომ მაისუროვს მარცვალოვის და ვასერის დაჭერას აბრალებდენ: არშაკა თურმე მაშინაც დაუჭრიათ, მარა სიკვდილს გადარჩენია.

✦ თფილისის ადმინისტრაციას ატყობინებენ, 8 ივლის ღამის 11 საათზე გორის ქალაქის ბაღში ვიღაც უცნობმა რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა ნოვობაიზეთის მე-5 როტის სალდათების პატრულს. სალდათებმაც თავის მხრივ ზალპი მისცა და იქვე დასჭრეს გორის მცხოვრები **ნიკოლოზ მამულაიშვილი** რომელიც ბუჩქებში იმალებოდა. მამულაიშვილს თან უპოვეს ორი რევოლვერი რისთვისაც წაიყვანეს საპყრობილეში. დატუსაღებული გზაში სალდათებს დაუსხლტა და გაიქცა. გაქცეულს სალდათებმა თოფი ესროლეს და მოჰკლეს.

✦ ყ ბანის ოლქიდან იტყობინებიან რომ 11 ივლისს პენზენის წყაროს ახლოს **გაცარცვეს** ფოსტა. ფული რამდენია წაღებული არ იციან. მოკლულია ფოსტალიონი, ხოლო მეეტლე დაჭრილია.

✦ როგორც ბათომიდან ატყობინებენ თფილის-ს ადმინისტრაციას, 11 ივლისს ღამის 1 საათზე სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების მოდარაჯე სალდათებს შეუნიშნავთ ბანკის ახლოს ვიღაც უცნობნი, ერთ რომელთაგანსაც ორი ქვა უსროლია დაუმტვრევია ფანჯარა. ბანკთან მდგომ სალდათებს თოფი დაუშენიათ უცნობთათვის, მაგრამ ვერ მოუხეედრებიათ უცნობნი მიმალულან.

✦ ქუთაისის მაზრის უფროსი იტყობინება, 5 ივლისს დილის 8 საათზე ოთხი შეიარაღებული უცნობი თავს დაესხნენ ბაღდადის გზაზე მიმავალ ორ დილიჟანს და გაცარცვეს: ქუთაისის საოლქო სასამართლოს მდივანი პ. სულაძე, ბაღდადის მომრიგებელ სასამართლოს მდივანი რობაქიძე და 12 მგზავრი. წაიღეს ფულათ 700 მანეთამდე, რევოლვერი და საათი. ბოროტმომქმედთა აღმოსაჩენათ მიღებულია ზომები.

✦ როგორც იტყობინებიან, გუშინ ელისავეტოპოლში ვიღაც უცნობს მოუკლავს ჟანდარმთა როტმისტრი რიდჩერი.

✦ შოროპნის მაზრის უფროსი იტყობინება, რომ ორი შეიარაღებული უცნობი თავს დაეცა ნ ღვიმის საქალებო მონასტერს, მაგრამ გატეხა ვერ მოახერხეს, რადგან მონაზვნებმა ყვირილი ასტეხეს და ბოროტ-გამზრახველნი იძულებულნი გახდენ უკანვე გაქცეულიყვნენ.

✦ 7 ივლის ღამის 9 საათზე მ. იოდანოვს წამოსწევია ქუჩაში ვიღაც უცნობი, რომელსაც ერთჯერ დაუკრავს იორდანოვისათვის, ჯოხი თავზე, რისგამოც იორდანოვი უგრძნობელათ დავარდნილა, ხოლო უცნობს ამოუცლია ჯიბიდან 95 მანეთი და დამალულა.

## კ ა ვ კ ა ს ი ა

**სოფ. ბერშუეთი** (გორის მაზ). 29 ივნისს სოფელ ბერშუეთში ვიღაც რაზმელები მიუცვივდენ მკალავ ლეკებს და წაართვეს ხანჯლები. ამის შემდეგ ლეკები წავიდენ ადგილობრივ ბოქაულთან და აცნობეს ეს ამბავი. ბოქაულმა ხანი აღარ აცალა, მალე მოვიდა კაზაკებით, შეერია სოფელს და შეაწერა 110 მანეთი ჯარიმა, რომლის გადახდა სოფელმა უკვე იკისრა.

9 ივლისს ამ სოფელში მოდიოდენ ექვსი კაზაკი, რომელთაც შემთხვევით გზაში შეხვდათ ოთხი მთვრალი წითელი რაზმელი. კაზაკებმა რა შეამჩნიეს ესენი მაშინვე ზალპი მისცეს და იქვე მოჰკლეს ორი კაცი, მხოლოთ ორმა მოასწრო გაქცევა და გადარჩა. ამის შემდეგ კაზაკები ზოგნი იქ დარჩნენ. ზოგნიც გაიქცენ თავიანთ უფროსთან და აცნობეს ეს ამბავი. უფროსიც მაშინვე წამოვიდა თორმეტი კაზაკით და მოსვლისათანავე იქვე მკვდრების ახლო ყანაში რამდენჯერმე ზალპი მისცა, რადგანაც ყანაში დამალული რაზმელები ევულებოდა. გამხეცებულმა უფროსმა ზალპით რომ ვერ აღმოაჩინა რაზმელები, ყანას ცეცხლი წაუკიდა. შემდეგ მიუბრუნდენ დახოცილ რაზმელებს, იარაღი აჰყარეს და ფული ამოაცალეს ხუთმეტ თუმნამდე. დაგეშილი უფროსი თავის კაზაკებით შეერია სოფელს და წაართვა 80 მანეთი ჯარიმა. სოფლელებს უნდოდათ მკვდრები თვითონ დაემარხათ. მაგრამ უფროსმა არ დაანება და იქვე დაამარხვინა, სადაც დახოცეს. დახოცილებთაგანი აღმოჩნდენ მიხა გოგინაშვილი (ნაწრეთელი), რომელიც ამ ცოტა ხანში ციხიდან გაქცეული და შეერთებია წითელ რაზმს მეორე იქვე ახლო მდებარე სოფელ კირბულელი ყოფილა, რომლის გვარი და სახელი ჯერ ვერ გაუგია.

## რ უ ს ე თ ი

**ჯარი და რევოლიუცია.** 28 ივლისს ჯავშნიან გემზე „ცესარევიჩზე" შემდეგი ამბავი მოხდა. ერთი მატროსთაგანი „ბაკზე" პაპიროსს ეწეოდა. ეს შეამჩნია უფროსმა და უკანონო შენიშვნა მისცა. მატროსმა ყურადღებაც არ მიაქცია. უფროსი გაწყრა და 5 საათის განმავლობაში „ფრონტში" გაჩერება უბრძანა. ეს დაინახეს სხვა მატროსებმა და „ტრევოგა". ასტეხეს. შეშინებულმა უფროსმა აფიცერი მოიყვანა. მატროსებმა უსტვინეს აფიცერს. მოვიდა უფროსი აფიცერი ამასაც იგივ ბედი ეწია. ბოლოს „კამანდირიც" გაჩნდა და ძალიან ზრდილობიანათ სთხოვა მატროსებს, აეხსნათ, თუ რაში იყო საქმე. გამოვიდა ერთი მატროსი უამბო საქმის ვითარება. თავისი სიტყვა ასე გაათავა ორატორმა: „თქვენ —აფიცრობა—სულ 20 კაცი ხართ და გემის სამი მეოთხედი ადგილი გიჭირავთ, ჩვენ კი, 700 კაცს, მხოლოთ ერთი მეოთხედი გვაქვს მოცემული, მარა აქაც არ გვაყენებთ ჩვენ და ყოველ ღონის ძიებას ხმარობთ რომ შეგვავიწროოთ. ნუ თუ თქვენ არ გყოფნის თქვენი ადგილი?"

ამხანაგებმა ტაშის ცემით დააჯილდოვეს ორატორი, კამანდირს კი ლაზათიანათ უკივლეს: ძირს, წაეთრიოს თავის ბუდეშიო! გაიძახოდენ მატროსები!

ამ ამბის შემდეგ მატროსებმა გადასწყვიტეს, ყოველთვის შესაფერათ დახვდენ აფიცრების თავხედურ ქცევას. ორატორი მატროსი გაქრა. კამანდირი ბევრს ემუდარა მატროსებს, მოვიდეს და მომელაპარაკოს თქვენი დელეგატიო, მარა მატროსები კარგათ მიხვდენ რა „მოლაპარაკება" ქონდა სახეში კამანდირს და გააპარეს თავიანთი ამხანაგი.

— მე-14 ფლოტის ეკიპაჟი აცხადებს რომ მატროსი კრასნოშჩოკოვი ჯაშუშია. ეს ვაჟბატონი თურმე ერთ და იმავე დროს სამხედრო ორგანიზაციაშიაც იყო და მთავრობასაც ეხმარებოდა. ეს გაიგეს ამხანაგებმა და ორგანიზაციიდან გააგდეს.

— პეტერგოფში მყოფი პრეობრაჟენელები დაჟინებით მოითხოვენ თავიანთ და ჯილ ამხანაგების უკანვე დაბრუნებას. „წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თითონ წავალთ ს. „მედვედში" და წამოვიყვანთ ამხანაგებსო" ამბობენ სალდათები.

სორმოვოში ყაზახები ძალიან „მოირჯულდენ. გატაცებით კითხულობენ რევოლიციონურ ლიტერატურას და გულმოდგინეთ დადიან კრებებზე და მიტინგებზე. ამ დღეებში ორი ყაზახი ქუჩაში მიდიოდენ და რევოლიუციონურ სიმღერებს მიიმღეროდენ. პოლიციამ შეიპყრო ესენი. გაიგეს თუ არა ეს ამბავი, ყაზახები თავს დაესხენ პოლიციას, ლაზათიანათ მიბეგვეს ბოქაული და სხვა პოლი-

---

წოვავებს კაპიტალისტური ექსპლოატაცია, ის პირუტყვივით შეჩვევია ექსპლოატაციას. ის მონურათ ითმენს კაპიტალისტური წეს-წყობილებისაგან გაყვლეფას, დაჩაგვრას, შიმშილს და წყურვილს. შორს ჩვენგან ასეთი მონები!

თუ მონაში მონური შეგნება და მოქმედება არ გამქრალა, ბატონს ის მუდამ იშოვის.

ხშირათ ეს ნაკლი ჩვენშიაც შეგვხვდება რამოდენიმეთ. ძველი მორჩილება, ძველი კერპთაყვანის მცემლობა თავს იჩენს კიდევ და იმორჩილებს თავის მსხვერპლს. შორს ჩვენგან ასეთი ნაკლიც! ცეცხლი... ცეცხლი უნდა გაუჩნდეს ყოველი მხრიდან ამ გამხმარ და სულის შემხუთავ წეს-წყობილებას, რომ ფერფლათ იქცეს ის და მის ადგილზე აშენდეს სიცოცხლით სავსე თანასწორული ცხოვრება!

მუშათა კლასი უნდა იყოს თავისი მტრების წინააღმდეგ არამც თუ ბრძოლაზე ბრძოლითვე პასუხის გამცემი, არამედ უფრო მეტი კიდევ—ის უნდა იყოს შურის მაძიებელი. აბა დაფიქრდით და მოიგონეთ რამდენი კაცი შთაუნთქავს თავის გაუმაძღარ მუცელში კერძო საკუთრებას!—რამდენი კაცი შეუჭამია კაპიტალიზმის მხეცურ კბილებს!—რამდენი ვერაგობა ჩაუდენია თვითმპყრობელობას!—რამდენი თავი გაუხმია მის სისასტიკეს!—რამდენი დედა აუტირებია მის ძალმომრეობას!—შერჩეს ყველა ეს მათ? არა, ჩვენ უნდა შური ვიძიოთ!..

ცუდი რევოლიუციონერია ის რევოლიუციონერი, ვის გულშიაც შურის ძიების ცეცხლი არ ღვივის!

ჩვენ ამ მხრივაც ბევრი ნაკლი გვაქვს შორს წასვლა არ გვინდა. ავიღოთ, მაგალითად, დეკემბრის აჯანყება, თუნდ ქუთაისის გუბერნიაში. ბელოგორში ერთმა მოღალატემ ადრევე აცნობა იქვე დაბარგებულ სალდათებს და მათ უფროსებს რევოლიუციონერების მიერ სალდათებზე იარაღის ასაყრელათ გამომუშავებული პლანი. როცა დაატყო მან, რომ ხალხმა მოღალატეობა გაუგო, აიღო და სალდათებში გადასახლდა, მათი ტანისამოსი ჩაიცვა. რევოლიუციონერებმა თავისი პლანი მაინც არ დააგდეს. როდესაც სალდათები დანებდა მათ და იარაღს აბარებდენ, ამ დროს მოღალატე ოთხ სალდათთან ერთად გაიქცა. ისინი დაიჭირეს სადღაც სოფელში და ხუთივე მიიყვანეს ბელოგორში. გამარჯვებულმა ხალხმა მას აპატია ღალატი!... დადგა რეაქცია თუ არა, ის წინ დაუძღოდა კაზახებს და მისი ჩვენებით ბევრი პატიოსანი მებრძოლი იქმნა უმოწყალოთ დახვრეტილი!..

მეორე შემთხვევა კიდევ შორაპნისავე მაზრაში მოხდა. აქაც რევოლიუციონერებს იარაღის აყრა სურდათ სალდათებისათვის. აფიცერი არ ნებდებოდა და გაავთრებული იბრძოდა მისი ძალდატანებით იქნა სალდათების მიერ რამოდენიმე რევოლიუციონერი დაჭრილი და ერთი მოკლული. ის ემუქრებოდა სალდათებს, არავინ გაბედოთ დამორჩილება თორემ ჩემი ხელითვე მოგკლავთო. ბოლოს რევოლიუციონერებმა მაინც დაიმორჩილეს ისინი, აყარეს იარაღი და ყველა სალდათები და აფიცრები დაატყვევეს. რამოდენიმე დღეს იყვნენ ისინი დატყვევებული, და იცით რას შვრებოდენ რევოლიუციონერები? სალდათს დღე და ღამეში აძლევდენ ექვს შაურს, აფიცერს კი ათ შაურს! რათ გამოიჩინეს ასეთი კერპთაყვანის-მცემლობა რევოლიუციონერებმა? რათ გაანსხვავეს აფიცერი ჭამა-სმაში უბრალო სალდათისაგან? რათ უვლიდენ ამ აფიცერს ასე გულმოდგინეთ? ეს არ არის რევოლიუციონერობა ეს არ არის შურის ძიება!

დიდი ხანია თვითმპყრობელობამ ყველას თავისი ქვეშევრდომი, ვინც მასავით არ ფიქრობდა, ვინც მასავით არ აზროვნებდა, ვინც მას არ ემორჩილებოდა და არ ეყვლეფინებოდა, თავის შინაგან მტრათ გამოაცხადა, და ამ მტერთან სასტიკი ბრძოლა დაიწყო. დღეს რუსეთის ქვეშევრდომებსა და თვითმპყრობელობას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომია გამოცხადებული.

თუ მტერს ხელში ჩაუვარდები,—არაფრით არ დაგზოგავს. მაგრამ როცა ჩვენ ჩაგვივარდებიან ხელში არც ჩვენ უნდა დავზოგოთ, თუ ომია, ომი უნდა იყოს!"

დიახ, უკმაყოფილება რუსეთის ხალხსა და თვითმპყრობელობის შორის ბრძოლის ველზეა გადატანილი. კითხვა აქ უნდა გადაწყდეს. ან ერთმა უნდა გაიმარჯვოს ან მეორემ. საქმე ბოლოს და ბოლოს ფიზიკურ ძალამდეა მისული. დადგა დრო „იარაღის კრიტიკისა", როგორც მარქსი ამბობდა. თვითმპყრობელობას თავის მხრით წამოყენებული აქვს ხალხის წინააღმდეგ შტიკები, თოფები, ტყვის მტყორცნელები და ზარბაზნები, და ეს იარაღები კი ისე სპობენ სოციალდემოკრატიულათ შეგნებულ თავს და რევოლიუციონური ცეცხლით აღგზნებულ გულს, როგორც შეუგნებელ თავს და ლაჩარ გულს. აქ მარტო ეს თვისებები საკმარისი არაა. აქ საჭიროა: **მჭექარე თოფი ხელში!**

გ. ფელია.

(შემდეგი იქნება)

ციელები და განთავისუფლეს თავიანთი ამხანაგები. ამის შემდეგ ყაზახები სოფლიდან გაიყვანეს.

— მოსკოვის გარნიზონის ყაზახები ამ ბოლო დროს გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს საზოგადოებრივ მოვლენებს და თანაგრძნობით ეპყრობიან განმათავისუფლებელ მოძრაობას. მიუხედავათ იმის, რომ სასტიკათ აკრძალული აქვთ მიტინგების გამართვა, ყაზახები მაინც ახერხებენ და კრებებს მართავე. უკანასკნელ კრებაზე ყაზახებმა განიხილეს დეპ. სედელნიკოვის შეურაცხყოფის საქმე და დაადგინეს, თანაგრძნობა გამოუცხადონ კაზაკ-დეპუტატს სედელნიკოვს და მოითხოვონ დამნაშავე პოლიციელების სამართალში მიცემა.

**გლეხთა მოძრაობა.** რევოლიუციას თავისი გააქვს. „ბნელი“ გლეხობა ნათლდება და შეგნება მაგრათ იკიდებს ფეხს რუსეთის სრულიად ჩამორჩენილ კუნჭულებში. ის სოფლები, რომელნიც ამ 5—6 თვის წინ შავ-რაზმელთა ბუნაგს წარმოადგენდენ, დღეს რევოლიუციის ერთგულ მეგობართა ბუდეთ გამხდარან და თავიანთ შავ წარსულს სასახელო აწმყოთი შლიან. აი ერთი ასეთი მაგალითთაგანი. სოფელი კულებაკი (ნ.-ნოვგოროდის გუბ.) ამ 6 თვის წინ შავ-რაზმელთა სოფელი იყო. გლეხები სიამოვნებით ემხრობოდნენ მთავრობას „კრამოლნიკების“ დარბევაში და მუსრს ავლებდენ თავისუფლებისთვის მებრძოლებს. ახლა კი აი რა ამბები ხდება ამ სოფელში. ამას წინათ აქ შეიპყრეს ერთი აგიტატორი ს.-დ., რომელმაც სოფლის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. სოფელი, როგორც ერთი კაცი, ისე ადგა და თავის მასწავლებლის გასანთავისუფლებლათ გაექანა. ბოქაული და დარაჯები ვერას გახდენ. გლეხებმა ევები დაუშინეს მათ და დიდის ამბით გაანთავისუფლეს ტყვე. გაჩაღდა რევოლიუციონური სიმღერები და ძლევამოსილი სოფელი შინ დაბრუნდა. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე დღე. სოფელში 11 ამხანაგი შეიპყრო პოლიციამ. გლეხებმა ეს გვიან შეიტყვეს. მიუხედავათ ამისა შეიარაღდენ რითაც შეეძლოთ და გაექანენ ტუსაღთა გასანთავისუფლებლათ. პოლიციელებს იარაღი აჰყარეს და კატეგორიულათ მოითხოვეს, დაგვიბრუნეთ ჩვენი ამხანაგებიო. ვერაგ პოლიციას ტყვეები უკვე ქალაქისკენ გაეგზავნა. დაღონებული გლეხები მუქარით და მთავრობის ლანძღვა-გინებით შინ დაბრუნდენ.

ასეთი შემთხვევები ხშირი მოვლენაა ახლა რუსეთის სოფლებში.

— ტაშკენტის დეპოს მუშებმა აღარ მოუცადეს მთავრობის განკარგულებას მათ სამართლიან მოთხოვნის 8 საათის სამუშაო დღის შესახებ და თვითონ შემოიღეს 3 ივლისიდამ რვა საათის მუშაობის შემდეგ მათ მიატოვეს დეპო და დაიშალნენ სახლებში. მთავრობას ისღა დარჩენია, რომ შეურიგდეს ამ გარემოებას.

# უცხოეთი

**ინგლისი.** უკვე ვწერდით (№ 17), რომ ლონდონში 10 ივლისს დაიწყობოდა ეგრეთ წოდებული მშვიდობიანობის კონგრესის კრებები, სადაც მონაწილეობას იღებენ ყველა ქვეყნის პარლამენტის ბურჟუაზიული პარტიები. ახლა იმავე დროს და იმავე სახელმწიფოში გაიხსნება სულ სხვანაირი კრება, რომელიც ძირიანათ განსხვავდება ზემოხსენებულ კონგრესიდან, როგორც თავისი შემადგენლობით, ისე იმ [illegible] მუშაოს მხრივ, რომელიც ამ კრებას წინ უდევს. ეს კრებაა — საპარლამენტოთა შორისი სოციალისტური კონფერენცია.

1889 წლიდან დაარსებული საერთაშორისო სოციალისტური ბიურო, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ და ხან ადრეც იწვევს საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებს, რომლებშიაც ესწრებიან ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების წარმომადგენლები და ბჭობენ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებზე, რათა თავისი მოქმედება ერთმანეთისას შეუთანხმონ და ერთგვარი ტაქტიკით იბრძოლონ მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას. მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესთა სოლიდარობას ამ კონგრესზე ფორმალური სანქცია ეძლევა. აი, ერთი ასეთი კრება ამ დღეებში მოიწვია ბიურომ. მაგრამ მას კონგრესის ხასიათი არა აქვს. აქ მონაწილეობას იღებენ მხოლოთ თვით ბიუროს წევრები და სხვა და სხვა პარლამენტების სოციალისტური დეპუტატები. ამნაირათ ამათი კრება კონფერენციათ გადაიქცევა.

დღიური წეს-რიგი კონფერენციისა ასეთია: მანდატების შემოწმების შემდეგ ბიურო მოხსენებას წაიკითხავს კონფერენციის მოსაწვევ მზადების შესახებ; შემდეგ კონფერენციის ახალ ბიუროს აირჩევენ, რომლის ხელმძღვანელობითაც დაიწყობა სხდომები. 18 ივლისისთვის დანიშნულია დიდი მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკებენ მარტო რუსეთის რევოლიუციის შესახებ. მიტინგზე დანიშნულია: ბებელი, ჟორესი, ვანდერველდი, ენრიკო ფერრი, კეირ გარდი, ტრელსტრა, რუბანოვიჩი და ანიკინი.

19 და 20 ივლისის კონფერენციას საკუთარ საქმეებზე ექნება მსჯელობა: 1. რანაირათ უნდა იყოს შეთანხმებული სოციალისტური პარტიების მოქმედება მთელი ქვეყნის პარლამენტებში. 2. პარლამენტებში რანაირათ უნდა დავუჭირონ მხარი რუსეთის რევოლიუციის საქმეს. 3. როგორ უნდა შევხედოთ „მშვიდობიანობის კონგრესს“, რომლის სხდომები ლონდონში სწარმოებს. 4. საკანონდებლო ზომები საწარმოვო იარაღების გასაზოგადოებრივებისათვის (ამ საგანზე სალაპარაკოთ მოწვეულია ჟორესი, რომელმაც ამაზე თავის შეხედულება უნდა გააცნოს კონფერენციას).

როგორც დღიური წეს-რიგიდან დაინახავს მკითხველი, ეს კონფერენცია დიდათ საინტერესოა. სხვა კითხვათა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რუსეთის რევოლიუციას აშკარაა, საერთა შორისო პროლეტარიატი მას მეტათ სერიოზულათ უყურებს და ჩვენი რევოლიუციის ბედიღბლის გადაწყვეტა არა ნაკლებ სასიცოცხლო კითხვა მისთვისაც მის გადაწყვეტაში ცდილობს შესაფერი მონაწილეობაც მიიღოს. დაწვრილებით ამ კონფერენციის მუშაობაზე შემდეგ ვილაპარაკებთ.

# მუშათა ცხოვრება.

**მღლიარები და მხატვრები.** ამ ხელობის მუშები მომეტებულ ნაწილათ აისორები არიან, რომლებიც, თითქმის ყველა, სპარსეთის ქვეშევრდომებია. ისინი მთელი პარტიობით მოდიან კავკასიაში და ზაფხულობით მათი რიცხვი რამდენიმე ათასამდი ადის. რაკი ადგილობრივ პირობებს ნაკლებათ იცნობენ, ისინი მოსვლისათანავე, და ხშირათ აქ ჩამოსვლამდინაც, — სპარსეთშივე ხელში უვარდებიან თავისავე ქვეყნის შაილ — „პოდრიადჩიკებს“. ეს უკანასკნელნი ძალიან მოხერხებულათ სარგებლობენ მათ უვიცობით და უწყალოთ აძრობენ მათ ტყავს.

ისინი სრულიათ უღონო არიან „პოდრიადჩიკებთან“ ბრძოლაში და მთელ ძალ-ღონეს მარტო იმაზე ხარჯავენ, ეგებ თითო-ოროლა გროშობით ცოტაოდენი ფული მოაგროვონ და შემდეგ სამშობლოში „რიგიანათ იცხოვრონ“. ამ მხრივ ისინი საგრძნობელ მეტოქეობას უწევენ ამ ხელობის „ევროპიელ“ მუშებს.

ეს „ევროპიელი“ მუშები შედარებით მცირე რიცხვ წარმოადგენს. ისინი მომეტებულათ ალფრეიშჩიკები (ფერადი წამლებით ყვავილების მხატვრები) არიან. მათ შორის ყველა ეროვნების ხალხს შეხვდებით: ნემეცი, პოლონელი, ლატიში, ებრაელი, რუსი, ხშირათ ფრანცუზები და იტალიელებიც კი მოიპოვებიან, აგრეთვე ბევრი სომეხი და ქართველი. მიუხედავათ ასეთი სხვადასხვაობისა ეს მუშები გაცილებით მეტ უნარს და სიფხიზლეს იჩენენ საზოგადოებრივ კითხვებში, ვიდრე მათი ამხანაგი — აისორები.

ენერგიულ მუშაობას შედეგად მოყვა წარსულ შემოდგომაზედ 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, რომელსაც დღეს „პოდრიადჩიკები“ არღვევენ.

უფრო ნაყოფიერ ბრძოლისათვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და უკვე მოპოვებულ გაუმჯობესების შესანარჩუნებლად, მალიარები და მხატვრები კრავენ პროფესიონალურ კავშირებს. სამწუხაროდ დღევანდელი გაძლიერებული რეაქცია ხელს უშლის ვრცელს და ფართე მოქმედებას ამ დარგში.

—

**ფინაჩები.** ავლაბარში არსებობენ ეგრედ წოდებული ფინაჩები, რომლებიც „აპაჩინკებენ“ ძველს, დახეულს ფეხსაცმელებ. ეს ფინაჩები ისე ხერხიანმდ ალაზათებდნენ უარგის ფეხსაცმელებს, რომ ბაზარზედ მყიდველი ჭურას ამჩნევდა და ორ სამ მანეთად ყიდულობდა ძამპალს და გაოხრებულს. ამ გვარს ფეხსაცმელს ყიდულობდა ეჭვს გარეშე მათსავით გაჭირვებული მცხოვრები თბილისისა და აი დღეს გონს მოსულმა ფინაჩებმა კრებაზე დაადგინეს ამ გვარად მყიდველის მოტყუება მიატოვონ და თავი ირჩინონ პატიოსანის შრომით. მათ შეკრეს პროფესიონალური კავშირი და კანონონათ მიიღეს შემდეგი: 1) მოაწეს-რიგონ კეთილ-სინიდისიერი განწყობილება მყიდველთან 2) განავითარონ წევრების შეგნება კრებების, კითხვის და მწერლობის საშუალებით და 3) აღმოუჩინონ ერთმანეთს მატერიალური დახმარება, უერთებიან ს. დ. მუშათა პარტიას უნდა და მხოლოთ მის ხელმძღვანელობას აღიარებენ.

# დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

10 ივლისი.

**ოდესსა.** მოკლული კაზაკის დასაფლავების შემდეგ, პირველ საათზე უნდოდათ ებრაელების დარბევა დაეწყოთ. 4 საათზე ებრაელების აკლება შეწყდა. საღამოს შვიდ საათზე ქალაქის განაპირა ადგილებში მღელვარება გაძლიერდა; დაიწყეს ებრაელების აწიოკება. აიკლეს ყველა მაღაზიები. ებრაელები თავ-ზარდაცემული გარბიან ქალაქიდან.

**პეტერბურგი.** სიმბირსკის გუბერნატორის მოვალეობის აღმასრულებელი, თავადი იაშვილი დაითხოვეს სამსახურიდან, მისივე თხოვნით.

**ლონდონი.** გაიხსნა საერთოშორისო საპარლამენტო კონფერენციის სხდომა. სხდომაზე 500 დელეგატია. კონფერენცია ოვაციებით მიეგება რუსეთის დელეგატებს. ბანნერმანმა თავის სიტყვაში განსაკუთრებული სალამი უძღვნა რუსეთის ხელმწიფეს, რომელიც გააგის კონფერენციაზე ასეთი სიმტკიცით იცავდ მშვიდობიანობის პრინციპს. მართალია ახლა „დუმა“ დაითხოვეს — მაგრამ გადაწყვეტით — შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლავ მოიწვევენ დასასრულ იმან სთქვა „დუმა მოკვდა — გაუმარჯოს დუმას!“ ილაპარაკა კოვალევსკიმ. მის სიტყვებს ოვაციებით მიეგებენ.

11 ივლის.

**ბერლინი.** ოფიციალური ბირჟის დაწყების წინ შეიკრიბენ ბირჟევიკები და დუმის დათხოვნაზე ილაპარაკეს. ბირჟა აღელვებული იყო. მიუხედავათ მენდელსონის დახმარებისა, რუსეთის ფასები ძალიან დაეცა. 1906 წლის რუსეთის 5 პროცენტიანი სესხი დაეცა 9 და მეოთხედ პროცენტებამდის.

**პეტერბურგი.** (ოფიციალური). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა სტოლიპინმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებს და მ. ს. უდიდებულესობის ნამესტნიკს კავკასიაში. ხელმწიფე იმპერატორისაგან. ჩემ მიერ მიღებული ბრძანების თანახმათ, ადგილობრივ მმართველობის მოქმედების ერთ სულოვნებისთვის, გაცნობებთ, რომ თქვენ უნდა იმოქმედოთ გადაწყვეტილათ, შეურყევლათ, მტკიცეთ უნდა დაიმორჩილოთ თქვენ განკარგულებაში მყოფი ძალები და მტკიცეთ და შეურყევლათ უნდა აღადგინოთ წესიერება. აშკარა არეულობა თავიდანვე უნდა ჩააქროთ. რევოლიუციონური შეთქმულება ყოველივე კანონიერი საშვალებით უნდა მოსპოთ. დიდი მოფიქრებაა საჭირო სხვა და სხვა ზომების წინ. ჩვენ საზოგადოების მტრებს ვებრძვით და არა საზოგადოებას. მეტის მეტი რეპრესიები არ გამოდგება. უკანონო და გაუფრთხილებელი მოქმედება — არ ვარგა. ხელმწიფის ნება შეურყეველია. მთავრობას სურს ძველი, უვარგისი კანონები, ახალი კანონებით შეიცვალოს. ძველი წყობილება განახლდება. წესიერება კი ყოველივე საშვალებით უნდა დავიცვათ. ამ მხრით თქვენ საკუთარი ინიციატივით უნდა იმოქმედოთ და პასუხის მგებელიც თქვენ იქნებით. მძლავრი და მაგარი ძალა, რომელიც ამნაირათ იმოქმედებს, საზოგადოების საუკეთესო ნაწილის თანაგრძნობას და დახმარებას მოიპოვებს.

**მოსკოვი.** გუშინდელი დღიდან რკინის გზაზე ჯარები გააძლიერეს ნიკოლაევის რკინის გზის სადგურ [illegible] დის გაგზავნეს ქვეითა ჯარის კაცთა 3 როტა, და ტყვის-მტყორცნელი [illegible] ბრესტის ვოგზალზე დამსჯელი მატარებელი სდგას. ნიკოლაევის რკინის [illegible] განსაკუთრებული დაცვის წესები გამოცხადდა. ქალაქში მშვიდობიანობის [illegible] ცავათ ყოველივე ზომები მიღებულია. გამოიწვიეს დრაგუნები და ქვევითა ჯარის კაცები.

**ვლადიმირი.** სამხედრო სასამართლო კაზაკებზე თავდასხმის საქმეში სამ მუშას კატორგა გადაუწყვიტა, ორი გაამართლა. ხალხმა განაჩენი ოვაციებული ტაშით [illegible] კვრით მიიღო და ბრალდებულებს ყვავილებით შეხვდა.

**ხარკოვი.** 16 გაქცეული ტუსაღი ვერ დაიჭირეს. — ორთქლის ქარხნის მუშები გაიფიცენ.

**ქისლავოდსკი.** ყველა მაღაზიები, ფურნეები, რესტორანები და ვანები დაკეტილია. საჭმელი არ იშოვება. დილას მანიფესტანტები წითელი დროშებით და მარსელიოზის გალობით პარკში შეიკრიბნენ და მიტინგი გამართეს. უმეტესობა მუშები იყვნენ. გადასწყვიტეს წესიერება დაიცვან და მომავალი გაფიცვების დროს მხოლოდ საჭმელების მაღაზიები გააღონ. საღამოს მოვიდა პლასტუნთა სოტნა. ხვალ მუშები მუშაობას დაიწყებენ.

**ჩიტა.** რკინის გზის სახელოსნოებში შესდგა მუშების მიტინგი. სახელოსნოებს ჯარი შემოარტყეს. დაიჭირეს 50 კაცამდის. სხვათა შორის ორი სტუდენტი, ოფიცერი და გიმნაზიელი.

**ტოკიო.** გარდაიცვალა უმთავრესი შტაბის უფროსი გენერალი კოდამა.

**სვერდლოვსკი.** დაიწვა სოფელი ნოვაია სტუდიონტოვკა.

**პეტერბურგი.** დაატყვევეს ყოველთვიური სოციალ-დემოკრატიული [illegible] ნალი მალორუსიულ ენაზე „ვილნა უკრაინა“.

**რომნი.** გაჩხრიკეს გაზეთ. „სვობოდნოე სლოვოს“ რედაქცია გაზეთი დახურეს.

რედ.-გამომც. ნ. ახმეტელაშვილი.